ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6225715

ნომერი: AR1932537

თარიღი : 04.11.2022

გაცემის თარიღი : 29.11.2022

გაცნობის თარიღი : 15.12.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სესილია თაყაიშვილის ქუჩა, N 33;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ჩახუნაშვილი პ/ნ 01024061809
- ქ. თბილისი, პეკინის გამზ. მე-2 კვ. კორპ #10, ბინა #46

ორგანიზაცია:

- შპს „ეიმ ბილდინგ სითი“ კოდი: 400154319

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 04 ნოემბერს №AR1932537 განცხადებით მომართა თამაზ ჩახუნაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 04 ნოემბრის №6190217 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახური 2022 წლის 04 ნოემბრის №6190217 გადაწყვეტილებით დაეთანხმა ქ. თბილისში, სესილია თაყაიშვილის ქუჩა №33-ში არსებულის ფართის ფასადზე (ს/კ: №01.19.39.015.019.01.01.001ბ), სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობას.
წინამდებარე განაცხადით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 04 ნოემბრის №6190217 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ გადაწყვეტილების სატიტულო ინფორმაციის დამკვეთი-განმცხადებლის ველში თამაზ ჩახუნაშვილის ნაცვლად შპს "ეიმ ბილდინგ სითი"-ს (400154319) დაფიქსირებას.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, შენობა-ნაგებობები ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის, აგრეთვე მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღების თვალსაზრისით იყოფა 5 კლასად. I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა ექვემდებარება მშენებლობის მარტივ შეტყობინებას, II-IV კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობა ექვემდებარება მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულებას.
ზემოაღნიშნული კოდექსის 101-ე მუხლის მიხედვით, მშენებლობის ნებართვა გაიცემა ორ სტადიად, გარდა ამ კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა (სამსტადიანი წარმოება): ა) I სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება და ბ) II სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა. ამავე კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი პირი ფიქსირდება მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე II-IV კლასის შენობა-ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2022 წლის 04 ნოემბრის №6190217 გადაწყვეტილება, წარმოადგენს I კლასის სამშენებლო სამუშაოებზე სამსახურის წერილობით თანხმობას და გადაწყვეტილების სატიტულო ინფორმაციაში დაფიქსირებული დამკვეთი-განმცხადებელი წარმოადგენს ინფორმაციული ხასიათის ჩანაწერს. შესაბამისად, იგი არ საჭიროებს ცვლილების შეტანას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 04 ნოემბრის №6190217 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.